ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5459245

ნომერი: AR1825927

თარიღი : 11.06.2021

გაცემის თარიღი : 21.06.2021

გაცნობის თარიღი : 06.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , მეტროსადგურ "სამგორი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ჯიჯიეიშვილი პ/ნ 01009016073
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 1 ბ. 100

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - თქვენს მიერ ატვირთულია ძველი (არასეზონური) გადაღებული არსებული სიტუაციის ასმახველი ფოტომასალა. უნდა ატვირთოთ ახალი დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტიუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც ფოტოაპარატის მიერ დაფიქსირებული იქნება გადაღების თარიღი.
გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ სარეკლამო კონსტრუქცია უკვე განთავსებულია, ასეთ შემთხვევაში საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის საქართველოს მთავრობის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ.

2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით გადაღებულ ფოტოზე დამუშავებული ფოტომონატჟი, ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის დატანით. გაითვალისწინეთ: "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთულ იქნას ერთი და იგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი.

3. მეტი თვალსაჩინოებისათვის დამატებით ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.